უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 თებერვალი, 2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ეკა

გვარი: ლეკაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ეკონომიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგიტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-7
4	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0311 ეკონომიკა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	თამარ მეფის ქუჩაN 59, ქუთაისი, ასწავლო კორპუსი 1. 4600.საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N1443387; 31.12.2021
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	31.12.2021

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	ანგარიშის წარმოდგენის ვადა ერთი წელი, 2022 წლის 31 დეკემბრამდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 31 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რიგით მე-5 („დაასახელოს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიანი გზები“) და მე-9 შედეგი („მუდმივად გაიღრმავოს ცოდნა, მოახდინოს მისი ტრანსფორმირება პრაქტიკაში და, საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს სხვას“), ხოლო რიგით მე-7 შედეგი „ეკონომიკური ანალიზის პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის დაცვის“ შესახებ გადავიდეს „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ნაწილში.

2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.

3. მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსს, როგორიცაა ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“, ,,ეკონომეტრიკა“, ,,მაკროეკონომიკა (მაღალი დონე)“ გასაზღვროს წინაპირობები.

4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „სამეცნიერო წერა“ და „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ ურთიერთგადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას;

5. რეკომენდებულია პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება, როგორებიცაა SPSS, Stata, Eviews, R და სხვა.

6. რიგ სილაბუსებში (ეკონომიკური პოლიტიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 2, სოციოლოგიური კვლევები და ა.შ) აისახოს უახლესი ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურა;

7. უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება.

8. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობასა და სტაჟირების ხანგრძლივობას.

9. მიზანშეწონილია, შეფასების ინსტრუმენტები ნათლად გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდებისგან, ხოლო რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით.

10. რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო თემის შინაარსის შესაბამისობა დარგთან, სწავლების სააფეხურთან და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა;

11. ეფექტიანი გახდეს პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების განხორციელება.

12. რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხის შეფასებას, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესისა და სილაბუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმების დახვეწას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

პროგრამისთვის წარდგენილი 12 რეკომენდაციიდან სრულად შესრულდა 10, ხოლო მეტწილად 2 რეკომენდაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

1.სასურველია, ლექტორების მიერ შემუშავებული სალექციო კურსების რეცენზირება განხორციელდეს მინიმუმ 2 დარგობრივი სპეციალისტის მიერ.

2. უსდ-მ შეიმუშავოს ეფექტიანი მექანიზმი, რითაც მოხდება სტუდენტების წახალისება სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებსა და აქტივობებში ჩასართავად.

3. სასურველია, ფაკულტეტებს მიეცეთ შესაძლებლობა, დააწესონ უფრო მაღალი ზღვარი თავიანთი პროგრამების ფარგლებში; კერძოდ, გაიზარდოს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (17 ქულა);

4. სასურველია, დაიხვეწოს შეფასების სისტემა, კერძოდ, გამრავალფეროვნდეს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარესა და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე;

5. გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა.

6. სასურველია კურსდამთავრებულთა ქსელის აქტიური ამოქმედება შესაბამისი ღონისძიებების მოწყობით (მაგალითად, დამსაქმებელთა მოთხოვნების მიხედვით კურსდამთავრებულთა ფორტფოლიოების შექმნა); ~

7. შეიქმნას დარგის პოტენციურ დამსაქმებელთა ბაზა. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც. გააქტიურდეს კარიერული სამსახური სტუნდენტთა კვალიფიკაციის

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

შესაბამისად დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან.

8. სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას;

9. სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა, კვლევის მეთოდების და შედეგის და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში.

10. სასურველია, გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგიტრო თემის ხელმძღვანელთან ვიზიტის შეხვედრები 2-დან 4-მდე მაინც.

11. კარგი იქნება, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.

12. სასურველია, სწავლებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ხარჯვითი კომპონენტი რომ ყოფილიყო ასახული პროგრამის ბიუჯეტში.

13. სასურველია გარე ექსპერტის რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენება პროგრამის სრულყოფისთვის, ასევე, პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების ანალოგი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებებისა და რჩევების მიღება-გათვალისწინება.

14. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

პროგრამისთვის წარდგენილი 14 რჩევიდან გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ 2 რჩევა.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება	1. საგანამანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[12]	გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რიგით მე-5 („დაასახელოს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიანი გზები“) და მე-9 შედეგი („მუდმივად გაიღრმავოს ცოდნა, მოახდინოს მისი ტრანსფორმირება პრაქტიკაში და, საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს სხვას“), ხოლო რიგით მე-7 შედეგი „ეკონომიკური ანალიზის პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის დაცვის“ შესახებ გადავიდეს „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ნაწილში.
შეფასება	წარმოდგენილი ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ პროგრამის მე-5 და მე-9 შედეგი გადამუშავდა და მიიღო შემდეგი სახე: (5) **გამოარჩევს** ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიან გზებს; (9) მუდმივად **იღრმავებს** ცოდნას და **ახდენს** მის ტრანსფორმირებას პრაქტიკაში. ამასთან, (7) შედეგი ,,ეკონომიკური ანალიზის პროცესში, **იცავს** აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის ნორმებს“ გადანაცვლდა პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილში. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა.

სტანდარტის დასახელება	1.საგანამანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია II[13]	რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	წარმოდგენილი ანგარიშის და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შესწავლით ირკვევა, რომ ინსტიტუციამ წარმოადგინა პროგრამის შედეგების გადამუშავებული ვერსია შემდეგი სახით: **ცოდნა და გაცნობიერება:** ✓ ხსნის წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების მიზეზებს და გავლენის შედეგებს; ✓ არჩევს ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდებს; ✓ განსაზღვრავს მიკრო/მაკრო- და რეგიონულ დონეზე, ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს; **უნარები:** ✓ შეიმუშავებს, მიკრო/მაკრო- და რეგიონულ დონეზე, ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს; ✓ გამოარჩევს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიან გზებს; ✓ სიღრმისეული ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, ახდენს მოვლენების/პროცესების პროგნოზირებას და გამოაქვს განვითარების სტრატეგიაზე შესაბამისი დასკვნები; ✓ არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე, აყალიბებს კვლევის შედეგებს და იცავს საკუთარ პოზიციებს დაინტერესებულ მხარეებთან; **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** ✓ ეკონომიკური ანალიზის პროცესში, იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის ნორმებს; მუდმივად იღრმავებს ცოდნას და ახდენს მის ტრანსფორმირებას პრაქტიკაში. აღნიშნული შედეგები განხილულ იქნა პროგრამის მიზნებთან და სასწავლო კურსებთან ბმაში. დასტურდება მათი ურთიერთკავშირი. შედეგები ფორმულირებულია აკრედიტაციის სახელმძღვანელოს რეკომენდაციების შესაბამისად.

[13] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	რეკომენდაცია შესრულდა.
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III[14]	მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსს, როგორიცაა ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“, ,,ეკონომეტრიკა“, ,,მაკროეკონომიკა (მაღალი დონე)“ განესაზღვროს წინაპირობები.
შეფასება	ანგარიშით და თანდართული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ინსტიტუციამ წარმოდგენილ სასწავლო კურსებს განუსაზღვრა წინაპირობები. კერძოდ, სასწავლო კურსს ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“ - წინაპირობად განესაზღვრა ,,ეკონომიკური პოლიტიკა 1“; სასწავლო კურსებს ,,ეკონომიკური პროგნოზირება“ და ,,თამაშთა თეორია“- ,,ეკონომეტრიკა; სასწავლო კურსს ,,მაკროეკონომია (მაღალი დონე) - ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“, ხოლო სასწავლო კურსს ,,ეკონომეტრიკა“ - ,,კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია IV[15]	რეკომენდებულია პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება, როგორებიცაა SPSS, Stata, Eviews, R და სხვა.
შეფასება	ინსტიტუციამ გააძლიერა ციფრული ტექნოლოგიების და პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება და

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სასწავლო კურსებში,, ეკონომიკური პროგნოზირება“, ,,სოციოლოგიური კვლევები“, ,,ეკონომეტრიკა“ - პრაქტიკული მეცადინეობების ნაწილში ჩართო ამოცანების დამუშავება SPSS და სხვა პროგრამების გამოყენებით. აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით დგინდება, რომ **რეკომენდაცია შესრულდა.**
რჩევა[16] I	სასურველია, ლექტორების მიერ შემუშავებული სალექციო კურსების რეცენზირება განხორციელდეს მინიმუმ 2 დარგობრივი სპეციალისტის მიერ.
შეფასება	წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ინსტიტუციამ დაიწყო სასწავლო კურსების სილაბუსების რეცენზირება და პროცესში ჩართო 2-2 დარგობრივი სპეციალისტი. ამ პრინციპით უკვე გადამოწმდა შემდეგი სასწავლო კურსები: ,,რისკები და ეკონომიკური უსაფრთოხება“, ,,გეოეკონომიკა“, ,,ხალხთმოსახელობის ეკონომიკა და ეკონომიკური დემოგრაფია“. **რჩევა გათვალისწინებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • სასწავლო კურსების - ეკონომიკური პროგნოზირება“, ,,სოციოლოგიური კვლევები“, ,,ეკონომეტრიკა“ - სილაბუსები; • დეპარტამენტის სხდომის ოქმი N8.03.07.2022 და N9. 03.27.2022

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია V[17]	რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „სამეცნიერო წერა“ და „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ ურთიერთგადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას;
შეფასება	,,სამეცნიერო წერის“ და ,, კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ სილაბუსები გადამუშავდა თემატიკის ურთიერთგადაფარვის პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სილაბუსების დადარებამ დაადასტურა , რომ **რეკომენდაცია შესრულდა.**

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • ,,სამეცნიერო წერის“ და ,, კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VI[18]	რიგ სილაბუსებში (ეკონომიკური პოლიტიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 2, სოციოლოგიური კვლევები და ა.შ) აისახოს უახლესი ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურა.
შეფასება	ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ სასწავლო კურსებს ,,ეკონომიკური პოლიტიკა 1“, ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“და ,,სოციოლოგიური კვლევები“ დაემატა ახალი ქართულენოვანი ლიტერატურა. ცვლილებები აისახა სილაბუსებში. ასევე, განახლდა სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსისთვის ,,მაკროეკონომიკა (მაღალი დონე)“. განახლებული ლიტერატურა წარმოდგენილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკულ, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VII[19]	უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება.
შეფასება	საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელების მიზნით განისაზღვრა პროფესიული პრაქტიკის ხელმძღვანელის და კომპანიის მენტორის

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	კოორდინირებული მუშაობის საკითხები. პრაქტიკის დაწყებამდე ხორციელდება პრაქტიკის ხელმღვანელისა და მენტორის სამუშაო შეხვედრა, სადაც პრაქტიკის ხელმღვანელი მენტორს აცნობს პრაქტიკის მიზანს, გეგმას და შეფასების სისტემას. პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს სტუდენტის პროფესიული პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას. პროცესის მექანიზმი აღწერილია პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • პროფესული პრაქტიკის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკულ, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VIII[20]	უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობასა და სტაჟირების ხანგრძლივობას.
შეფასება	წარმოდგენილი ანგარიშიდან და მემორანდუმებიდან ირკვევა, რომ მათ გარკვეულ ნაწილში გათვალისწინებულია სტაჟირების ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა. წარმოდგენილია სამი მემორანდუმი აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით. უნივერსიტეტი აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით. **რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • მემორანდუმები.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.5 სწავლა-სწავლების მეთოდები

[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია IX[21]	მიზანშეწონილია, შეფასების ინსტრუმენტები ნათლად გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდებისგან, ხოლო რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით.
შეფასება	ინსტიტუციამ წარმოადგინა გადამუშავებული სილაბუსები ,,თანამედროვე ეკონომიკური თეორიები", ,,რეგიონული მმართველობა და დეცენტრალიზაცია", ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2", ,,რისკები და ეკონომიკური უსაფრთხოება", სადაც წარმოდგენილია მრავალფეროვანი სწავლის მეთოდები: გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევის ანალიზი. აღნიშნული მეთოდები ანალიტიკური უნარების განვითარებას მოემსახურება. ასევე, გასწორდა სასწავლო კურსის ,,სოციალური ეკონომიკა" სილაბუსში სწავლა - სწავლების მეთოდები, რომელშიც როლური თამაში იქნა წარმოდგენილი, ხოლო შეფასების მეთოდებში - ქვიზი. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • სასწავლო კურსის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია X[22]	რეკომენდირებულია, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო თემის შინაარსის შესაბამისობა დარგთან, სწავლების საფეხურთან და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის სათაური, შერჩევის შემდეგ, მტკიცდება ჯერ დეპარტამენტის, შემდეგ კი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. მეცნიერ-ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის განხილვამდე 5 დღით ადრე წარმოადგენს დასკვნას. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომს აფასებს დარგის სპეციალისტი, რომელიც კრიტიკულად შეაფასებს

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ნაშრომს და აკადემიური სტანდარტების კრიტერიუმების გათვალისწინებით წარმოადგენს რეცენზიას. რეცენზია დეპარტამეტში წარდგენილი უნდა იყოს დაცვამდე 5 დღით ადრე. დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი დაიშვება საჯარო დაცვაზე, ხოლო უარყოფითი შეფასებისას - არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე. დაცვაზე დაშვების მთავარ წინაპირობას ასევე წარმოადგენს ნაშრომის შემოწმება ანტიპლაგიატის პროგრამით. შეფასდა რა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსი, დადგინდა, რომ ის შესრულებულია შესაბამისი მოთხოვნების დაცვით. მასში წარმოგენილია ყველა მოთხოვნა, რაც წარედგინება სამაგისტრო ნაშრომს აკადემიური სტადარტების გათვალისწინებით, თუმცა საჭიროა მიეთითოს ანტიპლაგიატის პროგრამით ტექსტის დამთხვევის მაქსიმალური ზღვრული სიდიდე. **რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია XI[23]	ეფექტიანი გახდეს პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების განხორციელება.
შეფასება	წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ. აღნიშნულია პროგრამის ხელმძღვანელობის და პროფესიული უნარების განვითარების გამოცდილება. ამასთან აღწერილია პროგრამის განვითარებაში მისი ჩართულობის აქტივობები. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • პროგრამის ხელმძღვანელის CV.

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსსონალის პროფესიული განვითარება

[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[24] II	კარგი იქნება, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.
შეფასება	წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში სტუდენტების სამეცნიერო კვლევითი აქტივობების გასააქტიურებლად ჩატარდა შემდეი ღონისძიებები: ➢ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა და ლექტორ-მასწავლებლებმა მ/წ 1-2 ნოემბერს მონაწილეობა მიიღენ თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო XII ფორუმში „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება“; (https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/3278-xii-forumi-led-geo) ➢ ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 2022 წლის 10 ივნისს ჩაატარა ამავე ფაკულტეტის 30 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“, კონფერენციაზე 45 სტატია იქნა წარდგენილი 76 სტუდენტის მიერ, მათ შორის მონაწილეობას ღებულობდნენ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებიც. (https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/3085-studentta-samecn-konf-biznes-geo, (https://atsu.edu.ge/images/pdf/XXXII%20სტუდენტური%20სამეცნიერო%20კონფერენცია.pdf) ➢ ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ეგიდით, ტარდება საქართველოს ეკონომიკური პრობლემებისა და ქართული ეკონომიკური აზრის შემსწავლელი სტუდენტთა მუდმივმოქმედი სემინარის ფარგლებში სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენცია

[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო ეკონომიკური კონფერენციები: SIUEC 2017, SIUEC 2018, SIUEC 2019, SIUEC 2022); ➢ მიმდინარე წელს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ და აწსუ-ს და ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივ კონფერენციებზე, პედაგოგებთან თანაავტორობით გამოდიოდნენ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის გარკვეული სტუდენტებიც; ➢ 2022 წლის 27 მაისს აწსუ-ის ბიზნესის, სამართლისა სა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველოაბის და ეკონომიკის დეპარტამენტის, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების აქტიური მონაწილეობითა და ორგანიზებით გაიმართა ვიქტორინა ,,მომავალი ეკონომისტი", სადაც მონაწილეობას იღებდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებიდან 17 გუნდი; (https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/2982-viktorina-momavali-ekonomisto-geo) ➢ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებგვერდებზე ინტენსიურად ხდება შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსების, ასევე, სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების, საჯარო ლექციების ჩატარების და შემეცნებითი ტურების განხორციელების შესახებ ინფორმაციის განთავსება. სტიპენდიის მიღებისათვის ერთერთი აუცილებელი პირობაა კონფერენციებსა და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა. (https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/3332-shidasaf-konkursi-biznesi-geo-axali-2022-2023) **რჩევა გათვალისწინებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში და თანდართული ინფორმაცია.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია XII[25]	რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხის შეფასებას, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესისა და სილაბუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმების დახვეწას.
შეფასება	საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა. შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის განვითარებისთვის. ამასთან წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელშიც გაწერილია ყველა კომპონენტი, რომელიც მისი შესრულების და დაცვის პროცესს ეხება. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; • აკადემიური პერსონალის გამოკითხვა; • აკადემიური მოსწრების ანალიზი; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

თანდართული დოკუმენტაცია[26]

ექსპერტის ხელმოწერა

[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[26] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა